

საბრძოლო

ქრონიკალი
ნიგლიოთიკა

საერთოული გაზეთი

პარასკევი 30 ნოემბერი 2001 №229 (1502)

ფასი 50 თეთრი

ნისლა ბაიერს კარი უზუნბრია



ყველაფერი წარმავალია, ტურინული ნისლიც კი. და მაშინ, როცა მოთმინებაშერჩენილი სულ რაღაც ხუთი ათასი ქომაგი „დელე ალპიზე“ მესამედ მივიდა, ხოლო ტოტალი ზატორებმა ლამის მატჩის ჩატარება-არჩატარებაზე დაიწყეს ფსონების მიღება, ნისლი გაიფანტა და გამოჩნდა ტაბლო, რომელზეც 4:0 ეწერა.

კიდევ გამოჩნდა, რომ ბუნდესლიგაში დაუმარცხებელი ლევერკუზენის „ბაიერის“ ძლევა შესაძლებელი ყოფილა და ეს მოახერხა გუნდმა, რომელსაც სერია A-ში მოგება ოცნებად ჰქცევია.

ნისლის გაფანტვის მერე ტაბლოს გარდა სხვა რამეებიც გამოჩნდა. მარჩელო ლიპი: „დღეს მე ნამდვილი „იუვენტუსი“ დავინახე, ჩვენ ვითამაშეთ ისე, როგორც ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს ეკადრება. 4:0? არა, ასეთ ანგარიშს არ მოველოდი და მით უფრო კმაყოფილი ვარ“.

მაგრამ შევნიშნოთ, რომ ნისლის დროს სახლში ჯდობა კარგი, ქუჩა-ქუჩა ხეტიალი კი ვერაფერი სიამოვნებაა. აბა, ლევერკუზენელთა თავკაც კლაუს ტომპიოლერსაც მოვუსმინოთ: „ჯერ იყო და, ტურინში ორჯერ მოგვიხდა ჩამოსვლა. ოთხშაბათს ლამის თერთმეტის ნახევრამდე სტადიონზე ვიყურყუტეთ, გამოდარებას ველოდით. ბოლოს, როგორც იქნა, სასტუმროში ნაგვიყვანეს, რომელიც „დელე ალპიდან“ საათნახევრის სავალზეა, დღეს დილას კი იგივე დრო და მანძილი უკან დაბრუნებას მოვანდომეთ. თუმცა, რაც უნდა იყოს, „იუვენტუსს“ გამარჯვებას ვულოცავ“.

იხილეთ მეხუთე გვერდი



იუვენტუსი — ლევერკუზენი 4:0. პირველიც და მეოთხეც დავიდ ტრენგესი (№17) იყო

ნოდიაშ როდუო წააბო

მერანაშ დინაშოს პირველად მოუბო

ვისაც ჯონ სტეინბეკის „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ არ წაუკითხავს, მაგრამ თბილისის „დინამო“ თავისი წარსულითაც და აწმყოთიც აღარდებს, ზამთრის მღელვარებას მაინც შეიგრძნობს. ავჯალაში „მერანს“ ბევრი ქომაგი არ მისვლია, არადა, ოთარ გაბელას თოფმა ისტორიულად გაისროლა — „მერანმა“ დინამოს პირველად მოუგო.

ქუთაისის „ტორპედო“ კი შემოდგომის ჩემპიონიც შეიქნა მეზობელ ზესტაფონელთა ძლევით.

ზღვისპირული დუელი ფოთი — ბათუმი კოლხებმა მოიგეს და დაუძლურებულ ათგ ზის ჩემპიონსაც გადაუსწრეს.

აუტსაიდერულ გაწევაგამოწევაში მეფოლადეთა ქალაქის გუნდმა კვლავ ვერაფერი გააწყო ლანჩხუთში — ლელო გურულებმა გაიტანეს.

დისციპლინარებისგან შეჩვენებულმა ვეტერინარებმა რეზერვითაც და სიცხიანებითაც დაჯაბნეს უმთავარშწვრთნელი „სამგურალი“.

დღევანდელი „ლოკომოტივი“ — „სიონიც“ და შემოდგომამოლოებული ქართული ფეხბურთი ოდენ ზამთრის მღელვარებით შეიქცევს თავს — მეტამეტე ტრადიციული სკანდალებით ჩახლართული ჩემპიონატი 2 მარტამდე მოიცდის.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



მერანი — დინამო. ავჯალელთა მეკარე რევაზ ნაჭყეპია მთელ „დინამოს“ გაუძლავდა

გადარი კაითილაბის ფოტო

საპარტიო სკოლა 13 ლიბა 18 ტური

ზღვიდან სხვა ქარმა დაუბერა ფილიას და გალაკის აპროზის იველი აქვით

კოლხეთი 1:0 გათუბი. Table with scores for various teams and rounds, including 1st round scores and 2nd round scores.

ბუზინდელ მატჩს მეტოქეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ეს გასაგებიც იყო. ბოლო თამაშებში უდანაკარგოდ მოთამაშე ბათუმელები გამარჯვების შემთხვევაში გათამაშების ცხრილში შესაძლო პოზიციას იმყარებდნენ, რაც შეეხება კოლხეთს, სამი ქულა მათ ზეექსპლუატში მოხვედრის კარგ პერსპექტივას უსახავდა.

ქუთაისი. 29 ნოემბერი. 15.00 საათი. ტორპედო. 500 (ტყევალია 19 432). Table with scores for Torpedo and other teams.

სულთანგა კარს ჯადო ახსნა

მაგნიტის კვანძები წყალტუბოდან. „26 მაისს“ სერგო გაბელაიას ბედს თამაშის დაწყებამდე არც ერთი ჰკუთხომყოფელი არ იხატებდა. თითქმის დისკალბრეციონული, ხუთი ტრავმირებული და ორი ნასიცხარი ფეხბურთელით აუტსაიდერ „სამგურალთან“ თამაში იოლი საქმე არ იყო.

სამგურალი 1:2 ვიზ ჯორჯია

Table with scores for Samgurali and other teams, including 30 ბოლოცია, 3 ფრანგიველი, 22 კოპალიანი, etc.

ინგლისი ლიგის თასი. მირაპლდინალი. ფულინი 12 ბოლოცია. იტალია თასის მირაპლდინალი საპასუსო მატჩები.

Table with scores for various teams, including 11 ხარიმა, 2 კუთხური, 5 კარისკენ დარტყმა, etc.

ჩემპიონთა ლიგა

II ჯგუფური ეტაპი. I ტური. გადადებული მატჩი. გუშინ

D ჯგუფი

მე ვხედავ ტაბლოს!

ნისლი გერმანელთა

თვალეზში დარჩა

იუვენტუსი 4:0 ლევერკუზენი
10 ტურზე (მ) 20 დელ ბერო (37), 30 ტურდორი (44), 40 ტურზე (60)
იუვენტუსი: ბუფონი, ბიჩინელი, ტურამი, იუ-ლიანო, პესოტო, ნეველი (დავიდო 84), ტი-კინარდი, ტურდორი, ძამბროტა, დელ ბერო, ტურზე (ამორუზო 77)
ლევერკუზენი: მარქლო ლიბი
ლევერკუზენი: ბუტი, სეზევიკი, ლუსოი, იმს ნოლტნი, ბლასენტი (ფიკო 67), ბალაკი, რამელი, ზე რუბორტი, ზამპურუტი (ნაიფერი 52), კირსტინი (გრანიცი 75), ნოვილი
გაფრთხილება: ბიჩინელი, ნეველი, ბალაკი
მატჩი: ურს მადრი (შვეიცარია)
5 000 მაყურებელი

ქლივის გუშინ შუადღისთვის ტურინში ნისლი თითქმის გაიფანტა და მხედავ გამოანათა. მსაჯმა და ფეხბურთელებმა ერთმანეთის დანახვა შეძლეს, ოღონდ ლევერკუზენელი ფანებისთვის აჯობებდა, შეხვედრის ბოლოს ტაბლოს კვლავ სქელი ნისლი ჩამოფარებოდა. იქ „დელე ალბის“ ტაბლოზე ეწერა, რომ ლევერკუზენის „ბაიერი“ შერცხვა და განადგურდა. ისე, შეხვედრის ბოლომდე მოცდა არც იყო საჭირო, რაკი მასპინძლებს ოთხი უპასუხოს გასატანად ზუსტად ერთი საათი ეყოთ.
თავისთავად „იუვენტუსისგან“ „ბაიერის“ ძლევა სენსაცია სულაც არ არის. გაკვირვებას სხვა რამ იწვევს. კერძოდ ის, რომ გერმანელები ბუნდესლიგაში თითხმეტი ტურია, ანუ რაც ჩემპიონატი დაიწყო, დაუძვრებელი არიან მაშინ, როცა ტურინელებმა სერია A-ს ბოლო რვა მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. რაშია საქმე? აქ ალესანდრო დელ ბეროს მატჩის წინ ნათქვამი ვკახსენდება, იტალიაში ყველა გუნდი მასქიმაღლა ჩაეკტილ ფეხბურთის თამაშობს და გოლის გატანა ძალიან მძე-ლია, უცხოეთში კი გასწილი ფეხბურთის ამპოინტებო.



ლევერკუზენელმა ზოლტან სებასციენმა კარგად ითამაშა, ალესანდრო დელ ბერო (№10) კი ბრწყინვალედ

მარკოროტას თასი
27 ნოემბერი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი
მილიურარიონი (კოლუმბია) 3:2 (20:5, 3:1) ნაბაბა (მდამა) (23)

მარკოსურის თასი
28 ნოემბერი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი
სან ლორენსო (არგენტინა) 4:1 კორინთიანი (ბრაზილია) (12)



ჟესანში ჩასული პელებ გელ კალათში ხელს ჩაყოფს

შახმატი

13.55-14.28

შივას მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის წილისფრის ჩატარების პროცესურის ექვსი ვარიანტი ჰქონდა, რომელთაგან საბოლოო ერთი ამირჩია. საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა ჟესანში, სასტუმრო „პარადიზში“ შედგა, წილისფრა კი ხვალ მოეწყობა.
კომიტეტის სხდომის მერე პრესკონფერენცია მოეწყო, რომელზეც წილისფრის ჩატარების წესი გამოცხადდა. აქ გამოვლინდა ფიფას პრეზიდენტის ზუბ ბლატერისა და უფფას პრეზიდენტის ლენარტ ოუპანსონის შესავალი გამოსვლები, რომლებმაც ზოგადდ ფეხბურთის მნიშვნელობაზე, სოციალურ პრობლემებზე, მშვიდობაზე და მისთანებზე ილაპარაკეს, რის მერეც მიკროფონიან ცხრილებით დატვირთულ ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი მივიდა და.
ქვეყნების კალათებში განთესვისას იგივე კრიტერიუმები იქნა გამოყენებული, რაც მსოფლიოს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, ანუ მონაწილეებს წინა სამი ჩემპიონატის მონაგარი დაუთვალეს. კერძოდ, მსოფლიოს ჩემპიონის 32 ქულა ეწერებოდა, ფინალისტი — 31, მესამეადგილოსანს — 30 და ა.შ. ამასთანავე, 1998 წელს მიღებული ქულები სამზე გამრავლდა, 1994 წელს მიღებული — ორზე. ბოლოს მიღებული ქულები ექვსზე გაიყო (რატომ ექვსზე?) და კოეფიციენტებიც დადგინდა. გამოთვლების მიხედვით, ყველაზე მეტი, 62 ქულა ბრაზილიას ერგო, არგენტინას და იტალიას — 56, გერმანიას — 54, საფრანგოს — 47, ესპანეთს — 45. ამ ექვსს მასპინძლები, სამხრეთ კორეა და იაპონია შეემატნენ და პირველი კალათაც შეიკოსო. როგორც ხედავთ, ინგლისისთვის ადგილი არ დარჩა. ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვების გამო მან მხოლოდ 41 ქულა დაკოვა.

წინასწარვე დადგინდა, რომ A, B, C და D ჯგუფებს სამხრეთ კორეა უმასპინძლებს, ხოლო E, F, G და H ჯგუფებს — იაპონია. და კიდევ, საფრანგეთის ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონი, ავტომატურად A ჯგუფში მოხვდება პირველ ნომრად, კორეა — D ჯგუფში, იაპონია კი — H ჯგუფში. ასევე ითქვა, რომ ჩინეთი ეკონომიკური და გეოგრაფიული მიზეზების გამო ერთ-ერთ იმ ჯგუფში მოხვდება, რომლის მატჩებიც მეზობელ კორეაში ჩატარდება.
ზენ რუფინენის თქმით, ერთ ჯგუფში ორზე მეტი ევროპული ქვეყანა ვერ მოხვდება და ამასთანავე, თანამასპინძელ ქვეყნებში შეძლებისდაგვარად თითოეულ კონტინენტიდან თანაბარი რაოდენობის ნაკრები უნდა მოხვდნენ. ესე იგი, თუ კორეაში ჩინელები და კორეელები ითამაშებენ, იაპონიაში მეთოთე აზიურ ქვეყანას — საუდის არაბეთს მოუწევს თამაში.
წესით და რეიტო, რაკი მონაწილე ქვეყანა ოცდათორმეტი, ხოლო ჯგუფების რაოდენობა რვა და თითოეულში ოთხი გუნდი იქნება, განთესვისას ოთხი რვა-

მსოფლიო

გადანაწილება

გუნდიანი კალათა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რა ხდება: მეორე კალათში მოხვდნენ — ბელგია, ხორვატია, დანია, ინგლისი, ირლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, სლოვენია, შვედეთი და თურქეთი. ანუ ყველა ევროპული გუნდი, რომლებიც პირველ კალათს ვერ შესწვდნენ, ჯამში კი — თერთმეტი. აქ ფიფა შეეცადა გეოგრაფიული პრინციპით ეხელმძღვანელა, რეალურად კი მეორე კალათიდან ამოსული პირველი რვა გუნდი ჯგუფებში (A-დან H-მდე თანმიმდევრობით) მეორე ნომრებად დაჯდება, დარჩენილი სამი ევროპული გუნდი კი მესამე ადგილებზე განთავსდება (ოღონდ არა იმ ჯგუფში, სადაც ორი ევროპული ქვეყანა უკვე არის).
აქ შესაძლო ვარიანტებზე ვთქვათ. კოეფიციენტების მიხედვით, სლოვენია, თურქეთი და პოლონეთი მეორე კალათში არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ რაკი ფიფას ასე იხება, ადვილი შესაძლებელია, ესენი ჯგუფებში მეორე ნომრებად მოხვდნენ, ინგლისი და პორტუგალია კი მესამეებად. შესაბამისად, „სიკვდილის ჯგუფების“ შექმნის ალბათობა ერთი-ორად იზრდება.
შესაძლოა, ასეც მოხდეს: ერთ ჯგუფში მოიყარონ თავი — არგენტინამ, ინგლისმა, პორტუგალიამ და ნიგერამ, სხვა ჯგუფში კი — კორეამ, სლოვენამ, ეკვადორმა და ტუნისმა. განსხვავება თვალსაჩინოა. ამგვარი ალბათობა, უპირველესად ევროპას აქნებს, რომელმაც ერთი დარტყმა ოთხი წლის წინ, მსოფლიოს

ჩემპიონატებზე მონაწილე გუნდთა რაოდენობის 24-დან 32-ე გაზრდით მიიღო. ძველი სისტემით, მონაწილეთა 541 პროცენტზე ევროპელები იყვნენ, ახლა ისინი 46,8 პროცენტი დარჩნენ.
დაიჩვენა აფრიკელები: კამერუნს 1990 წლის ჩემპიონატზე მეოთხედელს ვინაობა ვასვლია, ხოლო ნიგერიას ბოლო ორი მუნდიალის მერვედენალობა დაუვიწყეს და ყველა აფრიკელი ქვეყანა ერთად, მეოთხე კალათში მოისროლეს. საბოლოოდ მეთოთე კალათში მოხვდნენ: კამერუნი, ნიგერია, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა, ტუნისი, კოსტა რიკა, მექსიკა და აშშ.
ამთ წინ კი, მესამე კალათში არიან: ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი, ჩინეთი და საუდის არაბეთი.
კეთილი, თუ ევროპა და აფრიკა დაიჭაგრა, მოგებული ვინაა დარჩა? პირველ რიგში ჩემპიონატის თანამასპინძლები, რაც საზოგადოდ ასეც ხდება ხოლმე. პირველ კალათში განთესვისთან ერთად კორეამ და იაპონიამ იმდენი მთავრებეს, რომ თაყიანთ ჯგუფებში ჩინეთისა და საუდის არაბეთის ნაკრებთა მოხვედრაც აიცილეს თავიდან (წინააღმდეგ შემთხვევაში გეოგრაფიული პრინციპი ირღვეოდა).
ბოლოს კი დავეუბლოთ, რომ წილისფრის ცერემონიალი 90 წუთს გაგრძელდება და ჩენი დროით 13 საათზე დაიწევა. უშუალოდ კენჭისყრა კი 33 წუთს გასტანს — 13:55-დან 14:28-მდე.
გიორგი დარჯანი

გიორგი დარჯანი



წილისფრზე მიწვეული იოპან კრუფი ავტოგრაფების დარიცხვას ვერ აუღის

REUTERS ტურინიდან

REUTERS ჟესანიდან

სიჩინვენიანი! შავკერიძე თითქმის უნდა იქნებოდა კაცების თამაში და... ასოზე კბენანი?! გაუგებებს 16 წლიანი შავკერიძე აღარ გაუგებდებოდა?!



მგ. შს რა ხდება, კაცო! აგერ, გუშინწინ, ფიფის პრეზიდენტი ზებ ბლატერი, სამხრეთკორეულ პუსანში მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრისთვის...

გემუბნობთ. ამ პროექტის სახელი კი ასეთია: „უთხარით ბავშვებს „დაბ“... მაგრამ რაზე უნდა უთხარათ ბავშვებს „დაბ“? ბატონი პრეზიდენტი, ალბათ, იმას გულისხმობდა, ბავშვები, ფეხბურთის ყურება ან თამაში გინდათ? დაბ, ითამაშეთ და უყურეთ. მაგრამ რას უყურებთ იმას, რაც იმავ დღეს, ანუ კვირას, პრიმერადივიზიონში „სევილია“ — „ვალიადოლის“ მატჩისას მოხდა? გაეხსენოთ: სევილიელმა ზოსე ანტონი რეიესმა „ვალიადოლის“ გოლი გაუტანა. ამ დროს ზოგი სარეკლამო ფარებს ამტვრევს, ზოგი ვითომ ბავშვს ანაბავებს, ზოგი ვითომ ძაღლივით შარდავს, ზოგი ზანგურს ცეკვავს, ზოგი საქორწინო ბეჭედს კოცნის, ზოგი ბუცებს უწმენდს, საზოგადო კი გოლის ავტორებს თანავუნდლები შემოეხვევიან და ულოცავენ. სევილიელმა რეიესმა გოლი რომ შეაგლო, მინდორზე გასრიალდა თანავუნდლებიც, ცხადა, დახვებინეს და მიულოცეს — ზოგმა აკოცა, ზოგმა თავზე მოუთათნა ხელი, ზოგმაც ვიგარი ხარო, უთხრა. ბოლოს კი რეიესთან ფრანსისკო გალიარდომ მიიბრინა, დაიოქა და... ფეი, ეშმაკს, სარეკლამოზე უქმნა. მსოფლიო კი წამსზარია ამგვარი რამეებით, მაგრამ შევნიშნეთ, რომ სპორტსმენთა შორის დღემდე სირცხვირად ითვლება. ეგებ გალიარდომ თავი იმით იმართლოს, ამ საქციელით იმის აღნიშვნა მინდობდა, რეიესს ყვერებიანი ბიჭი რომ არისო, მაგრამ მაინც — კაცმა კაცსა, კაცო? ბლატერი კი გვიმტკიცებს, ბავშვებს ფეხბურთი აყურებინეთ...
გიორგი ღარჯანიანი

დათვი მარცხვის ხეზე გავა ამ ინტერვიუს პირა ზიდანის ტურინში პილაჩა ჩაბა

ზინედინ ზიდანისთვის ინტერვიუს მიცემა უცხო საქმე არ არის. ის ვარსკვლავია და, ბუნებრივია, კორესპონდენტების წინაშე ხშირად უნევს ჯდომს. იგივე მოხდა 28 ნოემბერსაც: „რეალმადრიდ TV“-მ მასურებელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან

- მამ, დავიწყეთ ზიდანთან საუბარი, რათა გავერთო, როგორ გრძობს თავს ახალ გუნდში. როგორ ხარ, რას განიცდი?
- ჩინებულად, თუმცა თავიდან ცოტა გამიჭირდა, რადგან უცხო გარემოში მოვეხდი. უნდა შემიჩინა სახლი, ბავშვებისთვის სკოლა და თან ახალ ადამიანებს უნდა შევუკუბოდი.
- მადრიდში უკეთ ცხოვრობთ თუ ტურინში ჯობდა?
- ცხადია, მადრიდში ჯობდა. „დათვისა და მარწყვის ხის ქალაქი“ ჯადოსნურია და ხალხიც საუცხოო ცხოვრობს.
- იტალიურ და ესპანურ სამზარეულოებს შორის განსხვავების საქმე როგორია?
- ო, ესპანური სამზარეულოს ხსენებაზე ნერწყვი მომდის, თუმცა იტალიური კერძებიც საუცხოოა.
- „რეალი“ თავიდან კარგად ვერ თამაშობდა. როგორ ფიქრობ, რა იყო ამის მიზეზი?
- მგონი, მთავარი მიზეზი შენი ტრავმა იყო. ახლა, როდესაც გამოჯანმრთელდი, ყველაფერი რიგზეა.
- გიყურებ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შენ მაინცდამაინც ვერ ასრულებ გამოთამაშების ფუნქციას. რას იტყვი, ეს საქმე შე და მაკლავს რომ დავკითხო?
- მაგის გაკეთება ძალიან გამაჭირდება, თუმცა თანახმა ვარ, გამთამაშებლობა შენთან ერთად ვიკისრო.
- ახლა მადრიდელი ინჩადა და ტურინელი ტიფოზებიც შეგვიღარებ?
- განსხვავება ძალიან დიდია, ოღონდ ვერ გეტყვი, რატომ აქ ხალხს უფრო უყვარს ფეხბურთი, გაცილებით მეტ სითბოს გაგრძობისთვის. ტურინში უფრო ცივილიზებული არიან.
- თამაშის რომელი სტილი გირჩევ?

რომ ჩასულა, პრესკონფერენციაზე გამოვიდა და კარგა ხანს ილაპარაკა, ჩვენ, საფეხბურთო მოღვაწენი და გაროს ბავშვთა ფონდი ერთობლივ პროგრამაზე

ზიდანისთვის ინტერვიუს მიცემა უცხო საქმე არ არის. ის ვარსკვლავია და, ბუნებრივია, კორესპონდენტების წინაშე ხშირად უნევს ჯდომს. იგივე მოხდა 28 ნოემბერსაც: „რეალმადრიდ TV“-მ მასურებელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან



ივან ელგერამ ჟურნალისტობა შეითავსა და ზინედინ ზიდანს ინტერვიუ ჩამოართვა

NANDROLONE

იპ სტამი

ხოსებ გვარდიოლა

გვარდიოლა, შენ ილა! სტამი ლოცვად დაეცა იტალიის ოლიმპიური კომიტეტი დაფიონების ინკვიზიტორია

მსახარალი ნახევარმცველი ზოსებ გვარდიოლა ხელმძღვრედ ჩაგარდა ლოპინგ-ტესტზე. 4 ნოემბერს „ლაციო“ — „ბრესკა“ მატჩის შემდეგ ფეხბურთელმა ერთხელაც ჩააბარა ანალიზი, რომლის პასუხიც იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ოთხშაბათს გამოაქვეყნა. მეორე ტესტზე სისხლში ნანდროლონიის ჰარბი რაოდენობა აჩვენა, რის გამოც ვეტერან ესპანელს ახლანდელად უფრო გაუჭირდება თავისი უდანაშაულობის დამტკიცება.

ამის პასუხად გვარდიოლამ განაცხადა, თუ ჩემს სიმართლეს ვერ დავამტკიცებ, საერთოდ დავანებებ ფეხბურთს თავსო: „მინდა ხალხს დაუგმტკიცო, რომ სტიმულატორებთან არავითარი კავშირი არ მაქვს. ამის გაკეთებას უახლოეს მომავალში ვეცდები და თუ ვერ შევძელი, ფეხბურთს გამოვეთხოვები.“ შეგახსენებთ, რომ პირველად გვარდიოლა ოქტომბერში, „აიაქსი“-ს — „ბრესკა“-ს მატჩის შემდეგ ჩატარებულ ტესტზე ჩაგარდა. მასში კატალინიელთა კერძს მისმა მწვრთნელმა კარლო მაკონემაც დაუჭირა მხარი: „ამდენი ხანია, გვარდიოლა ფეხბურთს თამაშობს და მხოლოდ ახლა, როცა 31 წლისაა, გამოირკვა, რომ დო-

პინგ იღებს?! ეს ხომ ტრაგიკომედიაა. ყველას ვისაც კი აქამდე ვწვრთნიდი, ვარაუდობდი, რომ სტიმულატორებს არასდროს გაჰყარებოდნენ. ყველანიარად ვეცდები, რომ ზოსებს ეს ფსიქოლოგიური დარტყმა გადავტანინო.“ მსოფლიოში მწვრთნელმა ისიც დაუმატა, საუკეთესო ლოპინგი გულმოდგინე ვარჯიშიაო.

დღეს კიდევ ერთი ფეხბურთელის საკითხი უნდა გაიჭყვოს ოლიმპიური კომიტეტის ლაბორატორიაში. „მანჩესტერი იუნაიტედიდან“ „ლაციოში“ გადასული იპ სტამი პირველად „ატლანტასთან“ მატჩის შემდეგ გამოიჭირეს და ახლა ხელმძღვრედ უნდა შეამოწმონ. თუ დამტკიცდა, რომ პოლანდიელი მართლაც ნანდროლონიით გატყვევლი თამაშობდა, იგი შესაძლოა ორი წლით მოკვეთონ ფეხბურთიდან.

ტესტის წინადაღეს ლაციოელმა განაცხადა: „ვლოცულობ, რათა ხელმძღვრე ანალიზმა ჩემი უდანაშაულობა დამტკიცოს. თუმცა ამაზე ლიდ იმედს არ ვამყარებ. პირველ ტესტში მეც დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლესში, მაგრამ ტესტმა სულ სხვა რამ აჩვენა. ვითომ ამჯერად შეიცვლება რამე?.“
ნიკა შუბლაძე

აიაქსი & ცი დაიგულა

კო აღრიანსე

ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვრელები არაფერს ამბობენ მის შესახებ შემცვლელზე.

გაბა ხუციშვილი

სარკიველი კროკო

ქვემოთაშენი
გიგანტური

ნარკობიდეპანო

ეკროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

უნივერსალი ბადე-ცხრილისთვის

ბურის წყვილები

მსკინძლოს წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსია. ბოლო სამი განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს“ აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

გუნდის გჰარდით

მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაეკავებული ადგილი, (2) - დებიუტანტს აღნიშნავს

ლიგონალს ზეპით და ქვეპით

გუნდის გასწვრივ მოცემულია მსკინძლოს მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

სამეაჯ ცხრილში

პირველ, ექვსკვეციან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთკვეციანში - საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| გერმანია, ბუნდესლიგა, XV ტური | 19.00 043 | 18.00 116 | 163 |
|---|-----------|-----------|---|
| 1 დეკემბერი | 19.00 044 | 18.00 117 | 2 დეკემბერი |
| 18.30 001 | 18.00 045 | 118 | 15.00 164 |
| 18.30 002 | 20.00 046 | 18.00 119 | 15.00 165 |
| 18.30 003 | 24.00 047 | 18.00 120 | 20.00 166 |
| 18.30 004 | 23.30 121 | 23.30 121 | 20.00 167 |
| 18.30 005 | 23.45 122 | 23.30 121 | 20.00 168 |
| 18.30 006 | 19.00 054 | 23.45 122 | 20.00 169 |
| 18.30 007 | 19.00 055 | 18.00 123 | 20.00 170 |
| 20.30 008 | 19.00 056 | 18.00 124 | 20.00 171 |
| 20.30 009 | 19.00 057 | 18.00 125 | 20.00 172 |
| გერმანია, II ბუნდესლიგა, XV ტური | 19.00 058 | 18.00 126 | პორტუგალია, I ლიგა, XIII ტური |
| 30 ნოემბერი | 19.00 059 | 18.00 127 | 30 ნოემბერი |
| 22.00 010 | 19.00 060 | 18.00 128 | 01.00 173 |
| 22.00 011 | 19.00 061 | 18.00 129 | 174 |
| 22.00 012 | 17.00 062 | 18.00 130 | 21.30 175 |
| 1 დეკემბერი | 18.15 063 | 23.45 131 | 01.30 176 |
| 18.00 013 | 22.15 064 | 17.30 132 | 19.00 177 |
| 18.00 014 | 19.00 066 | 17.30 133 | 19.00 178 |
| 2 დეკემბერი | 19.00 067 | 17.30 134 | 20.00 179 |
| 17.00 015 | 19.00 068 | 17.30 135 | 20.00 180 |
| 18.00 016 | 19.00 069 | 17.30 136 | 22.00 181 |
| 18.00 017 | 19.00 070 | 17.30 137 | 182 |
| 3 დეკემბერი | 19.00 071 | 17.30 138 | 00.30 183 |
| 23.15 018 | 19.00 072 | 17.30 139 | პორტუგალია, II ლიგა, XIII ტური |
| გერმანია, რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი), XIX ტური | 19.00 073 | 23.30 140 | 1 დეკემბერი |
| 30 ნოემბერი | 19.00 074 | 23.30 141 | 01.00 184 |
| 22.30 019 | 19.00 075 | 17.30 142 | 2 დეკემბერი |
| 1 დეკემბერი | 19.00 076 | 17.30 143 | 19.00 185 |
| 16.30 020 | 19.00 077 | 17.30 144 | 19.00 186 |
| 16.30 021 | 19.00 078 | 17.30 145 | 19.00 187 |
| 17.00 022 | 23.45 079 | 17.30 146 | 19.00 188 |
| 17.00 023 | 19.00 080 | 17.30 147 | 19.00 189 |
| 17.00 024 | 19.00 081 | 17.30 148 | 20.00 190 |
| 17.00 025 | 19.00 082 | 17.30 149 | 20.00 191 |
| 2 დეკემბერი | 19.00 083 | 22.30 150 | 20.00 192 |
| 16.30 026 | 19.00 084 | 151 | პოლანდია, I დივიზიონი, XVI ტური |
| 17.00 027 | 19.00 085 | 22.30 151 | 30 ნოემბერი |
| გერმანია, რეგიონალლიგა (სამხრეთი), XX ტური | 19.00 086 | 22.30 152 | 22.30 202 |
| 30 ნოემბერი | 19.00 087 | 22.30 153 | 1 დეკემბერი |
| 22.00 029 | 19.00 088 | 00.30 154 | 22.30 203 |
| 1 დეკემბერი | 19.00 089 | 00.30 155 | 22.30 204 |
| 17.00 030 | 19.00 090 | 20.00 155 | 22.30 205 |
| 17.00 031 | 23.30 111 | 20.00 156 | 23.00 206 |
| 17.00 032 | 19.00 112 | 20.00 157 | 2 დეკემბერი |
| 18.00 032 | 23.30 112 | 21.00 158 | 17.30 207 |
| 18.00 033 | 19.00 113 | 21.00 159 | 17.30 208 |
| 2 დეკემბერი | 19.00 114 | 23.00 160 | 17.30 209 |
| 17.00 034 | 23.30 113 | 23.00 161 | პოლანდია, II დივიზიონი, XVI ტური |
| 17.00 035 | 19.00 115 | 23.00 162 | 30 ნოემბერი |
| 21.00 036 | 23.30 114 | 23.00 163 | 23.00 210 |
| 4 დეკემბერი | 19.00 116 | 23.00 164 | 23.00 211 |
| 21.30 028 | 23.30 115 | 23.00 165 | 23.00 212 |
| ინგლისი, პრემიერლიგა, XV ტური | 23.30 116 | 23.00 166 | 23.00 213 |
| 1 დეკემბერი | 23.30 117 | 23.00 167 | 23.00 214 |
| 16.00 037 | 23.30 118 | 23.00 168 | 23.00 215 |
| 19.00 038 | 23.30 119 | 23.00 169 | |
| 19.00 039 | 23.30 120 | 23.00 170 | |
| 19.00 040 | 23.30 121 | 23.00 171 | |
| 19.00 041 | 23.30 122 | 23.00 172 | |
| 19.00 042 | 23.30 123 | 23.00 173 | |

ბაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო ბოლნისი სულხან საბას გამზირი №104

Table with multiple columns containing match details, including time, score, and team names. Includes sections like '1 დეკემბერი', '2 დეკემბერი', and '3 დეკემბერი'.

თასის აღება

Table listing the cup winners for various seasons, with columns for the season and the winning team.

Table containing match results with columns for time, score, and match details. Includes sections for 'საბურთაო', 'შოტლანდია', and 'პოლონეთი'.

Table containing match results with columns for I team/home score and II team/away score. Includes a section for 'ტურში გატანილი გოლები'.


Table titled 'ჩამავიონობა' listing various sports categories and their respective scores or values.

ბარბაროსობა და მარცხდა

ძირნე ძრძნე სამხრეთაფრიკელი მორაგებთა, რომელიც კარდიფში „ბარბაროსთა“ ფუნდში თამაშობდა, როგორც ვხედავთ, ის ავსტრალიელ კრის უაითევერს ბოჭავს. თუმცა, მანაც ბავსტრალიელმა ვაითევერს 49:35, ხოლო „ბარბაროსები“ რაგბში, რაღაც მსოფლეთ ნაკრებებს მავარანს წაშინავს.



REUTERS კარდიფიდან



REUTERS ფილადელფიიდან

პარსკვლავები

ის არც პალსნი და არც კიდევ უარესი. მეტიც, ეს არც ძმური ვადახვევაა. ეს ვახლავთ ებიზოლი „ვაშინგტონისა“ და „ფილადელფიას“ ნბა-ური თამაშიდან, რომელიც ახალი თაობის ვარსკვლავის აღენ აივერსონის „ფილადელფიას“, ყველა დროის ვარსკვლავთ ვარსკვლავის მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონმა“ 94:87 მოუგო.

რალასნაირი ამბავი

ის ამბავი აშშ-ის ქალაქ ლეიკ ლუისში ხდება, სადაც მსოფლიო თასის ეტაპი უნდა გაიმართოს. ამერიკელი სამთო მოთხილამურე გოგოები, პიკაბო სტრიტი და კეტლინ მონაჰანი ვარჯიშობენ, თან რაღაცნაირად: სტრიტი ხელში ბოთლით მოსრიალეებს, მონაჰანი კი მუხლებში მოხრილია.



REUTERS ლეიკ ლუისიდან



REUTERS სპლიტიდან

სწორდი! სპენა!

აბა, სად და რაღ შეიძლება მსახურობდეს ეს ჯეელი? ხლებარეზუაში... არა. სტროი ბატში... არა. დესანტში... ვითომ? აა, მივხვდით, მივხვდით. ეს ჯეელი სპორტროტაშია, ექვსი თვით გაიწვიეს, მაგრამ შეგადაშივ საგარჯიშოდ და შეჯიბრებებზე გაუშვებენ. სპორტროტა სორვატის ქალაქ სპლიტის სამხედრო ნაწილშია, ჯეელს კი ვორან ივანშივეიჩი ჰქვია. ხომ ვამოვიცანი? ეს სწორედ ის ნოვბურთული ვორან ივანშივეიჩია, დიდძალი ფული და ნახევარი სპლიტი ნაყიდი რომ აქვს.



REUTERS ჩიკაგოდან

აღა, ჰოპ!

კალიან, კალიან უცნაურია. ისე ჩანს, თითქოს „განუგვერ კენაქის“ პოკეისტი მარგუს ნესლუნდი მსაჯ რენდი მიტონს ბუშტის ჰაერში დაჭერაში ავარჯიშებს. ეს ამბავი ჩიკაგოში მოხდა, სადაც „ჩიკაგომ“ განუგვერთან“ 3:3 ითამაშა.

სარგიელი
საორტული გაზეთი

გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის საგზაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ტექნიკური რედაქტორი პეტრე ბერიძე
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კობორიძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, ვიო ასულედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლონაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მათა აბიანიძე, ნათელა ვორგოძიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგვაშვილი, მამუკა გუბულაძე, სვეტა დევაძე, მაგდალონაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გამზირი 42, 11 კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge